

პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ

ის არ არის აქ, არამედ აღდგა

დღეს, ზღვისპირა ქალაქ, კაპერნაუმის, მაცხოვრის გალილეური მსახურების თვით გულისაგან, მხოლოდ ნანგრევებიღაა დარჩენილი. იგი ქადაგებდა აქ, სინაგოგაში, ზღვისპირას მოძღვრავდა,სახლებში კი კურნავდა.

თავის მსახურების დასაწყისში, იესომ ესაიას სიტყვები გამოიყენა: „უფალი ღმერთის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა, რომ ვახარო შეჭირვებულთ, წარმომგზავნა მე გულგატეხილთა შესახვევად, რომ გამოვუცხადო ტყვეებს თავისუფლება და პატიმართ — ბორკილების ახსნა“ (ესაია 61:1; იხ. ასევე ლუკა 4:18) — ღვთიური გეგმის მკაფიო გაცხადება ღვთის შვილებისდა გადასარჩენად.

მაგრამ იესოს გალილეაში ქადაგება, მხოლოდ შესავალი იყო. ძე კაცისას, ხომ ყოველთვის ელოდებოდა გოლგოთის მთაზე შემაძრწუნებელი ტანჯვა.

იდუმალი სერობის შემდეგ გეთსიმანიის ბაღში დატყვევებული, მოწაფეებისაგან მიტოვებული, შენაფურთხები, ნაწამები და დამცირებული, იესო ბარბაცით შეუდგა ჯვარს და გოლგოთისაკენ გასწია. მან განვლო გზა ტრიუმფიდან ღალატამდე, წამებამდე და ჯვარცმამდე.

სიმღერაში „The Holy City“ (წმინდა ქალაქი) ასეთი სიტყვებია:

მოქმედების ადგილმა გადაინაცვლა. . . .
დილა ცივი და სუსხიანი იყო,
როდესაც ჯვრის აჩრდილი ამოიზიდა
ეულ მთაზე.[1]

ჩვენთვის გაწირა მამაზეციერმა თავისი ძე. ჩვენმა უფროსმა ძმამ თავისი სიცოცხლე ჩვენთვის გაწირა.

ბოლო წუთებში მოძღვარს შეეძლო უარის თქმა, მაგრამ მან არ გადადგა ეს ნაბიჯი. მან თავი დახარა ყველაფერზე ყველაფრის გადასარჩენად: კაცობრიობის, დედამიწის და მასზე ოდესმე არსებულ სიცოცხლეთა გადასარჩენად.

ჩემთვის ქრისტიანობაში არც ერთი სიტყვა, არ ნიშნაშნავს იმაზე მეტს, რაც ანგელოზმა უთხრა გოდებაში მყოფ მარიამ მაგდალენს და მარიამს, როდესაც ისინი სამარხს მიუახლოვდნენ უფლის სხეულზე საზრუნავად. „რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებს შორის? არ არის აქ, არამედ აღდგა“ (ლუკა 24:5–6).

ამ განცხადებით, ისინი, რომელნიც ცხოვრობდნენ და გარდაიცვალნენ, ვინც ამჟამად

ცხოვრობენ და ოდესმე გარდაიცვლებიან, და ისინიც, ვინც ჯერ არ დაბადებულან და მაინც უნდა გარდაიცვალონ,- ეს-ესაა გადარჩნენ.

ქრისტეს სამარეზე გამარჯვების შედეგად, ჩვენ ყველანი აღვდგებით. ეს სულის გამოსყიდვაა. მოციქულმა პავლემ დაწერა:

„არის ციური სხეულები და არის მიწიერი სხეულები," მაგრამ ციურის დიდება სხვაა და მიწიერისა — სხვა.

„სხვანაირია მზის დიდება, სხვანაირია მთვარის დიდება და სხვანაირია ვარსკვლავთა დიდება, რადგან ვარსკვლავიც განირჩევა ვარსკვლავისაგან დიდებით.

„ასევე მკვდრეთით აღდგომაც" (1 კორინთელთა 15:40–42).

ჩვენ ზუსტად ცელესტიალური დიდებისაკენ მივესწრაფებით. ჩვენი სურვილი ხომ ღმერთთან თანაარსობაა. ჩვენ ზუსტად ამ მარადიულ ოჯახთან გაწევრიანება გვსურს.

მე ვამოწმებ, რომ ის, ვინც დაუსრულებელ სიკვდილთაგან გადაგვარჩინა, ჭეშმარიტების მასწავლებელია — მაგრამ იგი მასწავლებელზე უფრო მეტია. იგი სრულყოფილი ცხოვრების მაგალითია — მაგრამ მაგალითზე კიდევ უფრო მეტად აღმატებული. იგი დიდებული მკურნალია — მაგრამ მასზე მეტი. იგი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სამყაროს მხსნელია, ძეა ღვთისა, მთავიარია მშვიდობისა, ისრაელის წმიდა, თვით აღმდგარი უფალი, რომელმაც განაცხადა: „მე ვარ პირველი და უკანასკნელი, მე ვარ ის, ვინც ცხოვრობს, მე ვარ ის, რომელიც მოკლეს, მე ვარ თქვენი ქომაგი მამასთან" (მოძღვრება და აღთქმები 110:4).

„ჩემი მხსნელი ცოცხალია! მასზე ფიქრი რა ტკბილია"[2]

და ამას ვამოწმებ მე.

შენიშვნები

1. ფრედერიკ ი. უეზერლი, „The Holy City" (წმიდა ქალაქი) (1892).
2. „ჩემი მხსნელი ცოცხალია," *საგალობლები და საბავშვო სიმღერები* გვ. 38.

ამ მოწოდების სწავლება

კარგი მასწავლებელი ყოველთვის მხარს უჭერს ერთობას მოწაფეთა შორის. როდესაც ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ თავის შინაგან გრძნობებს და იმავდროულად ერთმანეთს ყურადღებით უსმენენ, ისინი არამხოლოდ სწავლებისათვის დადებით ატმოსფეროს ქმნიან, არამედ უფრო მეტად მჭიდროვდებიან კიდეც (იხ. *Teaching, No Greater Call* [1999], გვ.63). მათ შორის, ვისაც თქვენ ასწავლით, ერთობა ჩამოვარდება იმ დროს, როდესაც თქვენ ერთობლივად ქრისტეს გამოსყიდვისა და მისი აღდგომის დამოწმებას თაყვანისცემით უზიარებთ ერთმანეთს. ასეთი ერთობა დაეხმარება ოჯახებს გაჰყვნენ პრეზიდენტ მონსონის რჩევას გახდნენ „მარადიული ოჯახი."

ახალგაზრდები

მან შინ დაბრუნების გზა გვიჩვენა

„უფალი მოევლინა დედამიწას, რათა ჩვენთვის ეჩვენებინა თუ როგორ ვიცხოვროთ იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მოწონებულ იქნა ზეცაში — გეგმა, რომლის მიხედვითაც თუ ვიცხოვრებთ, ვიქნებით ბედნიერნი. მისმა მაგალითმა გვიჩვენა შინ, მამაზეციერთან დაბრუნების გზა. არავინ მის წინარე მოვლენილი არ ყოფილა ასე მტკიცე და ურყევი (იხ. მოსია 5:15). ის ყოველთვის მიზანსწრაფული იყო. მისი გონება მთლიანად დაკავებული იყო მამაზეციერის ნების აღსრულებით და იგი თავისი ღვთაებრივი მისიის ერთგული დარჩა. . . .

„თქვენ ამ მიწიერისწინა ცხოვრებაში თქვენთვის წარდგენილი გასაოცარი გეგმის ნაწილს წარმოადგენთ. თქვენს დედამიწაზე განსხეულებას ელოდებოდნენ იმ დროიდან, რა დროსაც ეს გეგმა იქნა მიღებული. თქვენი ამ დროში და ამ ადგილას ყოფნა შემთხვევითი როდია. თქვენმა ‚უსაზღვრო რწმენამ და კეთილმა საქმეებმა' (იხ. ალმა 13:3) საფუძველი დაუდეს იმას, თუ რისი მიღწევა შეგიძლიათ თქვენ უკვე ეხლა, თუკი იქნებით ერთგულნი და მორჩილნი. . . . თქვენ უდიადესი სამუშაო გაქვთ შესასრულებელი. იმისათვის, რომ თქვენი ღვთიური მისია შეასრულოთ და ბედნიერების გეგმის მიხედვით იცხოვროთ, თქვენც ძლიერნი და ურყევნი უნდა იყოთ."

ელეინ ს. დალტონი, ახალგაზრდა ქალების გენერალური პრეზიდენტი, "At All Times, in All Things, and in All Places," *Liahona*, მაისი 2008, გვ.116.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ. ყველა უფლებები დაცულია.
დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, April 2011.* Georgian. 09764 131

მოწყალების საზოგადოების მიზანი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გარდააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება.

როდესაც ჩვენი პრეზიდენტობა თავდაპირველად მოიხმეს, ჩვენ გადმოგვცეს მოწყალების საზოგადოების ისტორიის გარკვეული მასალა. ჩვენ ის სასოებით შევისწავლეთ, რამეთუ გვეწადა ჩავწვდომოდით მოწყალების საზოგადოების მიზანს და იმას, თუ რა სურდა უფალს, რომ გაგვეკეთებინა მისი ნების თანახმად. ჩვენ შევიტყვეთ ის, რომ მოწყალების საზოგადოების მიზანი, ისე, როგორც იგი უფლის ნების თანახმად იყო ჩაფიქრებული, მდგომარეობდა იმაში, რომ მომხდარიყო მისი ქალიშვილების ორგანიზება, სწავლება და მათი შთაგონება მარადიული ცხოვრების ლოცვა-კურთხევისათვის მოსამზადებლად.

მოწყალების საზოგადოების მიზნის შესასრულებლად, უფალმა დაავალა ორგანიზაციას და ყოველ დას:

1. რწმენისა და პირადი ღირსების განვითარება.
2. ოჯახების განმტკიცება.
3. სხვათა საზრუნავის შემსუბუქება უფლისა და მისი შვილების მიმართ მსახურებით.

ჩვენ ამ სამუშაოს შესრულება უფლის გზებით შეგვიძლია შევასრულოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ვეძებთ პირად გამოცხადებას, ვღებულობთ მას და შესაბამისად ვმოქმედებთ. პირადი გამოცხადებების გარეშე ჩვენ ვერ ვიქნებით წარმატებულნი. თუკი მივყვებით პირად გამოცხადებას, ჩვენ ვერ ვიქნებით წარუმატებელნი. წინასწარმეტყველი ნეფი გვასწავლის, რომ სულიწმინდა გვიჩვენებს ყველაფერს, რაც კი უნდა გაკეთდეს ჩვენგან (იხ.2 ნეფი 32:5). ჩვენ უნდა მივცეთ საკუთარ თავს ნება დავმშვიდდეთ და დავდუმდეთ ისე, რომ შევისმინოთ სულის კარნახი.

დებო, ჩვენ გვაკისრია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი, ღვთის სასუფევლის აღშენებაში და უფლის გამოცხადებისათვის მზადებაში. ფაქტიურად, უფლის სამუშაო ვერ შესდგება მისი ქალიშვილების დახმარების გარეშე. ამის გამო, უფალი ელის ჩვენგან ძალისხმევის ზრდას. იგი ისე, როგორც არასდროს, ელოდება მოწყალების საზოგადოების მიზნის აღსრულებას.

ჯული ბ. ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი.

წმინდა წერილებიდან

მეორე რჯული 6:5–7; ლუკა 10:30–37; იაკობი 1:27; 2 ნეფი 25:26; მოსია 3:12–13

ჩვენი ისტორიიდან

1842წ. 9 ივნისს, მოწყალების საზოგადოების თავყრილობაზე, წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა უთხრა დებს, რომ მათი საზოგადოება არსებობდა არა მარტო „გაჭირვებულთა დასახმარებლად, არამედ სულების გადასარჩენადაც.“[1] ეს სულიერი და ამავე დროს მიწიერი დანიშნულების მტკიცებულება ახასიათებს მოწყალების საზოგადოებას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. 1906წ. პრეზიდენტი ჯოზეფ ფ.სმითი (1838–1918) ასწავლიდა „მოწყალების საზოგადოებას მხოლოდ ღარიბთა, ავადმყოფთა და ღატაკთა საჭიროებანი როდი ეხება, მის მოვალეობათა ნაწილს, ამასთან ერთად, მის უმეტეს ნაწილს, წარმოადგენს სიონის დედებისა და დების სულიერი კეთილდღეობა და მათი ხსნა, რათა არცერთი სული არ დარჩეს გარიყული, და ყოველი მათგანი დაცული იყოს უბედურებებისა, სტიქიის, ბნელეთის ძალებისა და ბოროტებისაგან, რომლებიც ემუქრებიან მათ ამ ქვეყანაზე.“[2] 2001წ. უხუცესმა რასელ ბალარდმა, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, განმეორებით შეგვახსენა: „ეკლესიის ყოველი და,

რომელიც უფალთან შევიდა აღთქმაში, ფლობს ღვთიურ უფლებას სულების გადარჩენის დასახმარებლად, ამ ქვეყნის ქალების წინამძღვრობაში, სიონის კერების განმტკიცებაში და ღვთის სასუფევლის აღშენებაში.“[3]

შენიშვნები

1. იოსებ სმითი, *History of the Church,* 5:25.
2. *Teachings of Presidents of the Church: Joseph F. Smith* (1998), 185.
3. მ.რასელ ბალარდი, „Women of Righteousness,“, *Liahona,* დეკ. 2002, გვ.39.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. რა შთაგონება მივიღე იმისათვის, რომ დავხმარებოდი ჩემს დებს მათში რწმენის, პირადი პატიოსნებისა და ოჯახების განმტკიცების საქმეში? რა შვებით შემიძლია ვუზრუნველყო სხვები?

2. როგორ გამოვიყენებ ამ გზავნილს ჩემი რწმენის განსამტკიცებლად და პირადი პატიოსნების ვალდებულების ასამაღლებლად?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *Visiting Teaching Message, April 2011.* Georgian. 09764 131